თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	საშემსრულებლო ხელოვნება / Performing Arts
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	საშემსრულებლო ხელოვნების დოქტორი / Doctor of Performing Arts
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ისწავლოს დამატებით არაუმეტეს 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა ECTS კრედიტებში შეადგენს 35.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი	პროგრამის ხელმძღვანელები: ბეჟან ნამგლაძე, ასოც. პროფესორი სოლო ფორტეპიანოს, კამერული ანსამბლისა და საკონცერტმაისტერო დაოსტატების მიმართულება; ლიანა ჭონიშვილი, პროფესორი, აკადემიური გუნდის დირიჟორობა გიორგი ხაინდრაცა, ასოც. პროფესორი, სიმებიანი საკრავების მიმართულება; თეიმურაზ ელიავა, ასოც. პროფესორი, აკადემიური სიმღერის მიმართულება; ირაკლი ევსტაფიშვილი ასოც. პროფესორი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულება;
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება კონსერვატორიაში ხორციელდება სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს არსებულ ადამიანურ, ფინანსურ და კვლევით რესურსებს, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობას, დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგებს; ასევე ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიის გათვალისწინებით. კონსერვატორიაში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

	საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირები, რომლებიც აღნიშნული საფეხურის ხარისხს ფლობენ უმაღლეს აკადემიურ სამუსიკო განათლებაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შემოქმედებითი ტური და გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან. დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება ითვალისწინებს აპლიკანტების გამოცდილების, შემოქმედებითი და კვლევითი შესაძლებლობების შეფასებას, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო და გულისხმობს სადოქტორო კვლევითი განაცხადის წარდგენას. ● საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხორციელდება და მისაღები სარეიტინგო ქულა განისაზღვრება საშემსრულებლო ტურისა და გასაუბრების ფორმატში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით ● ასევე აპლიკანტს მოეთხოვება გამოქვეყნებული სტატიის/რეფერატის, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების, ან სამეცნიერო-კვლევით პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. ● პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერთიფიკატით. *აღიარებას ექვემდებარება საერთაშორისო სერტიფიკატები, კერძოდ: TOEFL-ის, IELTS-ის, PTE General-ის, CAMBRIDGE FCE-ის, CPE-ის, CAE-ის, DELF/DALF-ის, ÖSD-ის, TestDaF (TDN 3), DSH (DSH 1), DSD (B2), GOETHE-ZERTIFIKAT, DELE (B2), eLADE (B2), CILS, CELI, PLIDA და სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - CERTUS.* *უცხო ენის სერტიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, იმ შემთხვევაში თუ სამაგისტრო/საბაკალავრო პროგრამის სრული კურსი გავლილი აქვს რომელიმე უცხო ენაზე: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენაზე ან დაგროვებული აქვს არანაკლებ 60 ECTS უცხოეთში სწავლის პერიოდში. დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;* *დოქტორანტობის კანდიდატმა, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.* **იხ. საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები და სადოქტორო დებულება tsc.edu.ge**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოლო ფორტეპიანოს, ორგანის, კამერული ანსამბლის, საკონცერტმაისტერო დაოსტატების, აკადემიური სიმღერის, საორკესტრო საკრავების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით მოამზადოს სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალი-შემსრულებელი, სოლისტი/ანსამბლისტი, აკადემიური საგუნდო

	კოლექტივის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. ასევე, პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი მიმართულების აკადემიური კადრები, რომლებიც შეძლებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში დარგში დაგროვებული ცოდნის გადაცემასა და ახალი ცოდნის შექმნას. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მაღალ კვალიფიციური აკადემიური პერსონალის და შემოქმედებით/საშემსრულებლო პრაქტიკაზე ორიენტირებული მაღალი კლასის მეცნიერ-მკვლევარის მომზადებას. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა ხელოვნებისა თუ კულტურის მიმართულებით იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც აუცილებლად მოეთხოვება დოქტორის აკადემიური ხარისხი: შემოქმედებით-პრაქტიკული პროფესიული საქმიანობა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, კვლევა, მენეჯმენტი.

სწავლის შედეგები	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: ● წარმოაჩენს და ინტერპრეტირებს ეროვნული და უცხოური თანამედროვე და/ან ტრადიციული საშემსრულებლო პრაქტიკის აქტუალურ საკითხებსა და კომპლექსურ პრობლემებს; ● წარმოაჩენს საშემსრულებლო სფეროში ახალი პრაქტიკისა და ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით და საშემსრულებლო მიდგომებს, მათ შორის ხელოვნების და მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან კავშირში; ● წარმოაჩენს ორიგინალურ მხატვრულ ხედვებს და ამ ხედვების განვითარებისა და/ან არტისტული ავტონომიის რეალიზების უნარს; ● იყენებს საკუთარი კვლევის სფეროსთან დაკავშირებული კვლევის შესაბამის მეთოდებს, ტექნიკას, ხერხებს, ტექნიკურ აღჭურვილობასა და გუნდის წევრების ჩართულობას (საჭიროების შემთხვევაში); ● კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს საშემსრულებლო სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ მიდგომებს; ● მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან საშემსრულებლო სფეროში უახლეს მიღწევებზე და/ან პრაქტიკულ მიდგომებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ; ● წარმოაჩენს და გადმოსცემს არსებული საშემსრულებლო პრაქტიკის ურთიერთკავშირს ახალ ცოდნასთან, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ საშემსრულებლო ღონისძიებებსა და თემატურ დისკუსიებში; ● მონაწილეობს უმაღლესი განათლების განვითარებაში სწავლების, კვლევისა და საშემსრულებლო პრაქტიკის განხორციელების გზით; ● აცნობიერებს საავტორო უფლებების, ინტელექტუალური საკუთრების, კონფიდენციალური ინფორმაციის მნიშვნელობას და იცავს ეთიკური და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;

	• საშემსრულებლო სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ საშემსრულებლო-კვლევით პროცესს და შეიმუშავებს ორიგინალურ მიღწევებზე დამყარებულ სადისერტაციო ნაშრომს; • იყენებს დაგროვილ ცოდნას ინტერდისციპლინურ კვლევებში; წარმოაჩენს საკვლევი საკითხების (თეორიული, პრაქტიკული, შემოქმედებითი და/ან კომბინირებული) შემუშავების უნარს.

სწავლება-სწავლის მეთოდები	სადოქტორო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება საშემსრულებლო ხელოვნების დარგისა და შესაბამისი სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლებისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების მიზნით გამოიყენება ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს. სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები: • ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები. პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული ასპექტების შესწავლა; • სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად; • სწავლება პროფესიულ გარემოში (საკონცერტო დარბაზი); • საშემსრულებლო ხელოვნების დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები; • წიგნზე მუშაობის მეთოდი • სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი; • პროფესიულ საკითხებზე დისკუსიების წარმართვა; • შემოქმედებითი პროექტებით კონცერტებში, ფესტივალებსა და სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა; • შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების მიზნით დოქტორანტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა; • ელექტრონული რესურსით სწავლება; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; • ჯგუფური მუშაობა.
შეფასების სისტემა	სასწავლო კომპონენტის შეფასება: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

	სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ● ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ● ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ● კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ● დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ● საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას: ● (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ● (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. შემოქმედებითი ნაშრომი შემოქმედებითი ნაშრომი გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტისა და საშემსრულებლო კომპონენტის (სამი კონცერტი) შესრულებას. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის მიზნით დოქტორანტი ვალდებულია ჩაატაროს: ა) სულ მცირე ერთი შემოქმედებითი ღონისძიება/კონცერტის/შემოქმედებითი სემინარი/მასტერკლასი უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ბ) ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია და უკუკავშირი/რეფლექსია; დოქტორანტს აგრეთვე მოეთხოვება: ● მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;, (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ბეჭდურ ან ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია EBSCO-ს, Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის, Index Copernicus-ის ან სხვა სამეცნიერო ბაზებში. ● მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში; ● მინიმუმ ერთი შემოქმედებითი ღონისძიების/კონცერტის/შემოქმედებითი ლექცია-

	სემინარის/მასტერკლასის ჩატარება / საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენება (ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და უკუკავშირს/რეფლექსიას). დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო

	ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე). სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დოქტორანტის დებულებაში. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით: ● ფრიადი (summa cum laude)- შესანიშნავი ნაშრომი-მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ● ძალიან კარგი (magna cum laude)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90%; ● კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80%; ● საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ● დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60%. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით: ● არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41- 50%; ● სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფეროები	სოლო კარიერა; უმაღლესი და საშუალო რგოლის საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური და ადმინისტრაციული პოზიციები; შესაბამისი კვლევითი ცენტრები; კულტურის სფეროს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები; ტელევიზია, რადიო და სხვ.
სწავლის საფასური	6500 ლარი
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია პრაქტიკული და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული სასწავლო აუდიტორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია. სტუდენტთა განკარგულებაშია თსკ ბიბლიოთეკა, აუდიო-ვიდეოთეკა, (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ელექტრონული ბაზები, ჟურნალები); სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა გაცვლითი პროგრამა, სახელობითი სტიპენდიები; ბიბლიოთეკა სთავაზობს შემდეგ სერვისებს: • ელექტრონული კატალოგი - http://conservatoire.library.ac.ge/ • ელექტრონული ბიბლიოთეკა - http://dspace.tsc.edu.ge/ • აუდიო ბიბლიოთეკა • ელექტრონული ბაზები და ჟურნალები (Cambridge Companions, JStore Music Collection, Ebrary Collection, Scorpus, Science direct და სხვ.); • ელექტრონული დაჯავშნის სერვისი • ბიბლიოთეკათშორისი აბონიმენტი პროგრამაში ჩართულია შემდეგი აკადემიური და მოწვეული პერსონალი სოლო აკადემიური სიმღერა / Solo Academic Singing პროფესორი-თეიმურაზ გუგუშვილი პროფესორი-ელდარ გეწაძე პროფესორი-გულნარა კარიაული ასოც.პროფ.-სვეტლანა ეგოროვა სოც.პროფ.-ნატალია ვოლჩენკო ასოც.პროფ.-თენგიზ ჩაჩავა აოსც.პროფ.-თეიმურაზ ელიავა(კამერული სიმღერა) ასოც.პროფ.-ქეთევან ელიავა ასოც.პროფ.დარეჯან მახაშვილი(კამერული სიმღერა) ასოც.პროფ.-ლიანა დადივაძე(კამერული სიმღერა) ასისტ.პროფ.-ზაალ ხელაია მოწვეული მასწ.-თამარ ივერი

	მოწვეული მასწ.-გოჩა დათუსანი მოწვეული მასწ.-ავთანდილ რევიშვილი მოწვეული მასწ.-დოდო დიასამიძე მოწვეული მასწ.-თამარ სარვაზიშვილი მოწვეული მასწ.-მიშელინა ქობალიანი ემერიტუსი-გოჩა ბეჟუაშვილი ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები / Wind and Drum Instruments პროფესორი-მურთაზ მაწკეპლაძე პროფესორი-დავით ჯიშკარიანი ასოც.პროფ.-მერი ჟვანია ასოც.პროფ.-ირაკლი ევსტაფიშვილის ასოც.პროფ.-პაატა ებრალიძე ასოც.პროფ.-ვაჟა ცენტერაძე ასისტ.პროფ.-დავით შამანაური ასისტ.პროფ.-დიმიტრი ბოქოლიშვილი მოწვეული მასწ.-ლაშა მღებრიშვილი მოწვეული მასწ- ვადიმ შიშკინი სიმებიანი საკრავები / String Instruments პროფესორი-ქეთევან თუშმალიშვილი პროფესორი-ერნსტ არაქელოვი ასოც.პროფ.-თამარ ბულია ასოც.პროფ.-გიორგი თაგაური ასოც.პროფ.-ირაკლი ჯაფარიძე ასოც.პროფ.-მიხეილ ხოშტარია ასისტ.პროფ.-ლელა მჭედლიძე ემერიტუსი-თამარ გაბარაშვილი მოწვეული მასწ.-ნოდარ ჟვანია მოწვეული მასწ.-გია ხაინდრავა მოწვეული მასწ.-ირინა კობახიძე მოწვეული მასწ.-ვაჟა კალანდაძე

	მოწვეული მასწ.-ილია დათუკიშვილი კლავიშიანი საკრავები / Keyboard Instruments პროფესორი-ლალი სანიკიძე ასოც.პროფ.-ნინო ჟვანია ასოც.პროფ.-ნინო ქათამაძე ასოც.პროფ-მანანა გოცირიძე ასოც.პროფ.-ალექსანდრე გარბერი ასოც.პროფ.-ბეჟან ნამგლაძე ასისტ.პროფ.-ვახტანგ ჟორდანია ასისტ.პროფ.-დავით ალადაშვილი ემერიტუსი-ედიშერ რუსიშვილი მოწვეული მასწავლებელი-ნუცა ჭირაქაძე მოწვეული მასწ.-მანანა კანდელაკი მოწვეული მასწ.-ნოდარ ნაკაიძე მოწვეული.მასწ.-სვეტლანა კორსანტია მოწვეული მასწ.-ლია ბაიდოშვილი კამერული ანსამბლი / Chamber Music პროფესორი-ოთარ ჩუბინიშვილი პროფესორი-ნოდარ ჟვანია ასოც.პროფ.-მანანა ქანთარია ასოც.პროფ.-მედეა ალთუნაშვილი ასოც.პროფ.-თამარ ლიჩელი ასოც.პროფ.-ნინო ბაქრაძე ასოც.პროფ.-გია ხაინდრავა ასოც.პროფ.-ნანა ლესელიძე ასისტ,პროფ.-თამარ ჟვანია ასისტ.პროფ.-თეონა მიქელაძე ასისტ.პროფ.-შოთა გოგოძე ემერიტუსი-ნათელა კვირკველია მოწვეული მასწ.-თეიმურაზ ხარაძე საკონცერტმაისტერო დაოსტატება / Piano Accompanist პროფესორი-ზეინაბ ბაქრაძე ასოც.პროფ.-ცირა ქამუშაძე

	ასოც.პროფ-ნანი სანაძე ასოც.პროფ.-თეა ბუაძე ასოც.პროფ.-მარინა ადამიშვილი ასისტ.პროფ.-ირინა აივაზოვა აკადემიური გუნდის დირიჟორობა / Conducting პროფესორი-ლიანა ჭონიშვილი ასოც.პროფ.-ავთანდილ რევიშვილი ასოც.პროფ.-ბორის ძნელაძე ასოც.პროფ.-ლიანა ლომიაშვილი ასოც.პროფ.-მიხეილ ედიშერაშვილი ასისტ.პროფ.-ომარ ბურდული ემერიტუსი-შალვა მოსიძე მოწვეული მასწ.-არჩილ უშვერიძე მოწვეული მასწ.-მიხეილ ჯავახიშვილი
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	იხ. დანართი
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	კვლევითი კომპონენტი, შედგება შემსრულებლობისა და კვლევის ნაწილებისაგან. დოქტორანტი ვალდებულია ყოველწლიურად გამართოს კონცერტი (დოქტორანტურის განმავლობაში სულ 3 კონცერტი), რომლის რეპერტუარიც შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომის თემატიკასთან, წინასწარ არის გაწერილი ინდივიდუალური გეგმით და შეთანხმებული და დამტკიცებულია შესაბამისი მიმართულების სხდომაზე. შესაძლებელია დოქტორანტმა კონცერტები შეასრულოს როგორც კონსერვატორიის, ასევე სხვა აკადემიურ/საკონცერტო სივრცეში. დოქტორანტის მიერ სხვა აკადემიურ/საკონცერტო სივრცეში შესრულებული კონცერტი შესაძლებელია აღიარებულ იქნას, თუ კონცერტს ესწრება კონსერვატორიის მიერ ხუთი წევრისგან დაკომპლექტებული ჟიური. კონცერტი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1) რეპერტუარი შეესაბამება პროგრამითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული რეპერტუარის სტილს, ჟანრს, ეპოქასა და ქრონომეტრაჟს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 2) აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულებით აღიარებას დაექვემდებარება კონცერტი, რომელზეც დოქტორანტი გამართავს საკუთარ საშემსრულებლო კოლექტივთან დირიჟორობით. **სასწავლო კომპონენტებისა და კვლევითი კომპონენტის შესრულება წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობას.**

	სამეცნიერო ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელი • დოქტორანტის კვლევას წარმართავს დოქტორის ხარისხის მქონე და მასთან გათანაბრებული დოქტორანტის თემის შესაბამისი პროფილისა და გამოცდილების მქონე **სამეცნიერო ხელმძღვანელი,** რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩატარების პროცესის მხარდაჭერას (ხელმძღვანელი დოქტორანტს უთმობს სემესტრულად 20 საკონტაქტო საათს, ხოლო თანახელმძღვანელის საკონტაქტო საათების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, დოქტორანტის კვლევითი ინტერესების შესაბამისად); სამეცნიერო ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის განხორციელების გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს. ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, ეხმარება სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/ შემოქმედებით სფეროში ინტეგრირების პროცესში; პასუხისმგებელია დოქტორანტის მიერ შესრულებული სამეცნიერო სამუშაოებში პლაგიატის პრევენციაზე; ამზადებს დაკვნას ჩატარებული სამუშაოს შესახებ. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი (ანუ, თანახელმძღვანელი). ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო. თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში მისი უფლება-მოვალეობები დგინდება ინდივიდუალურად დოქტორანტის კვლევის საჭიროებებიდან გამომდინარე **შემოქმედებითი ხელმძღვანელი** • დოქტორანტის შემოქმედებით საქმიანობას წარმართავს დოქტორის ხარისხის და მასთან გათანაბრებული, შესაბამისი გამოცდილების მქონე **შემოქმედებითი ხელმძღვანელი** რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევის თემატიკის შესაბამისი შემოქმედებითი სამუშაოს ჩატარების პროცესის (შემსრულებლობა) მხარდაჭერას. ხელმძღვანელი დოქტორანტს უთმობს წლიურად 40 საკონტაქტო საათს; შემოქმედებითი ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის კვლევის განხორციელების გეგმებით გათვალისწინებული შემოქმედებითი აქტივობების რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს. ეტაპობრივად ამოწმებს ნაწარმოებზე/ნაწარმოებებზე მუშაობის პროცესს, ეხმარება სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით სფეროში ინტეგრირების პროცესში; ამზადებს დაკვნას ჩატარებული სამუშაოს შესახებ. **კონსულტირება** • იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს სჭირდება გარკვეული დარგობრივი კომპეტენციების დამატებით შეძენა, მას აქვს უფლება თავისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან და დოქტორანტურის შემოქმედებით ხელმძღვანელთან შეთანხმებით გაიაროს კონსულტირება (ჯამურად 40 საათი) კონსერვატორიაში აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან, ან ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში. კონსულტანთან ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს დისერტანტი წარუდგენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ხოლო შედეგებს წარადგენს კოლოკვიუმზე მიმართულების სხდომაზე.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლოკურსების / მოდულების ტიპი: სავალდებულო / არჩევითი												
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სემესტრი		ლექტორი
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი (ჯგუფური)	სემინარი ინდივიდუალური						
სავალდებულო სასწავლო კომპონენტები: 35 ECTS												
1		სწავლების მეთოდები	5	10	5		110		წინაპირობის გარეშე	√		
2		მეცნიერების მენეჯმენტი	5	10	5		110		წინაპირობის გარეშე	√		
3		კვლევის მეთოდები	5	15		-	110		სწავლების მეთოდები	√		
4		დოქტორანტის სემინარი	10	-	-		250		წინაპირობის გარეშე	√	√	
5		პროფესორის ასისტირება	10	-	-		250			√	√	
	სულ სასწავლო კომპონენტის კრედიტები:		35 ECTS კრედიტი									

სავალდებულო შემოქმედებით-კვლევითი კომპონენტი			
აქტივობის სახე	დაშვების წინაპირობა	სემესტრი	
		შემოდგომა	გაზაფხული
განმავითარებელი შეფასება / Formative Assessment	წინაპირობის გარეშე	√	
დოქტორანტის **I** კონცერტი	წინაპირობის გარეშე		√
განმავითარებელი შეფასება / Formative Assessment	წინაპირობის გარეშე	√	
დოქტორანტის **II** კონცერტი	დოქტორანტის I კონცერტი		√
განმავითარებელი შეფასება / Formative Assessment	წინაპირობის გარეშე	√	
დოქტორანტის **III** კონცერტი	დოქტორანტის II კონცერტი		√
დისერტაციის დაცვა	სასწავლო კომპონენტის შესრულება და დოქტორანტის III კონცერტი	√	√